

სოფლის მდგრადი განვითარება თეთრინყაროს მუნიციპალიტეტში

განხორციელების ვადა: 15.11.2016 - 15.09.2020

EaP ქვეყნები:

Georgia

ევროკავშირის
წვლილი: € 2 127 260

განმახორციელებელი ორგანიზაცია (ებ):

Association Rural Development For Future Georgia



სოციალური მედიის ანგარიშის ბმულები:

facebook.com/WWW.RDFG.GE/

პროექტის ვებსაიტები: rdfg.ge/what-we-do/enpard/

პროექტის აღწერა:

პროექტი ევროკავშირის სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების პროგრამის (ENPAR) ნაწილია, რომელიც ადგილობრივი მოსახლეობის გააქტიურებასა და გადამწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულობას ითვალისწინებს. იგი ხორციელდება ქვემო ქართლის რეგიონში, რომელიც ცნობილია მისი მრავალფეროვანი მოსახლეობით (ქართული, სომხური, აზერბაიჯანული და ბერძნული წარმოშობის). მისი დანიშნულებაა ინოვაციური სოციო-ეკონომიკური მოდელების დანერგვით გააუმჯობესოს თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხი. პროექტის ფარგლებში ჩამოყალიბებული ადგილობრივი განვითარების ჯგუფი (LAG) წარმართავს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის შექმნის პროცესს, რომელიც მუნიციპალიტეტის ეკონომიკური შესაძლებლობების გაძლიერებისკენაა მიმართული. პროექტი ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფს ეხმარება მენარმეობაზე ორიენტირებული ფინანსური მექანიზმების, დასაქმების მოდელებისა და გარემოსთან ადაპტირებული ტექნოლოგიების დანერგვით, თეთრინყაროს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების დივერსიფიცირებული შესაძლებლობები შეიქმნება.

მოსალოდნელი შედეგები:

- ევროკავშირის „ლიდერ“ მიდგომის საფუძველზე ადგილობრივი განვითარების ჯგუფის (LAG) შექმნა, რომელიც ჩამოყალიბდა ფუნქციონალურ ერთეულად და ინტეგრირებული ადგილობრივი განვითარების ინიციატივების მეშვეობით და წვლილს შეიტანს სოფლად ცხოვრების დონის გაუმჯობესებაში;
- თემის მიერ ინიცირებული თეთრინყაროს მუნიციპალიტეტის ადგილობრივი განვითარების ადგილობრივი სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის შემუშავება;
- თეთრინყაროს მუნიციპალიტეტში ეკონომიკური განვითარების დივერსიფიცირებული შესაძლებლობების შექმნა მენარმეობაზე ორიენტირებული ფინანსური მექანიზმების, დასაქმების მოდელებისა და ინოვაციური, გარემოსთან ადაპტირებული ტექნოლოგიების დანერგვა.